ბათუმის შოთარუსთაველისსახელმწიფოუნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 134

2012 წლის 27 ივლისი,
ქ. ბათუმი

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესის“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესიგანათლებისშესახებ" საქართველოსკანონის 21-ემუხლის1-ლი პუნქტის, 2011 წლის 20 აპრილის აკადემიური საბჭოს №56 დადგენილებით დამტკიცებული „რსუ–ს სადოქტორო პროგრამების განხორციელების წესის“ საფუძველზე, რსუ–ს აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესი“ დანართი 1-ის შესაბამისად;
2. დადგენილება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს უნივერსიტეტის ძირითად სტრუქტურულ ერთეულებსა და მართვის ორგანოებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურაში მიღების წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის(შემდგომში „უნივერსიტეტი“) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე დოქტორანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცედურას.

1.2. უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში დარეგისტრირდა დოქტორანტობის კანდიდატად, სრულყოფილად წარმოადგინა ამ წესით დადგენილი დოკუმენტაცია, ჩააბარა მისაღები გამოცდა (გამოცდები) ან გაიარა გასაუბრება.

1.3. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე პირი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებს ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 50-ე მუხლით დადგენილი აღიარების დოკუმენტის საფუძველზე.

2. დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია

2.1. დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები და ადგილი, ასევე რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირი/პირები, საგამოცდო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

2.2. დოქტორანტობისკანდიდატმარეგისტრაციისთვის უნდა წარმოადგინოს;

ა. პირადობის მოწმობის ასლი;

ბ. მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის (და დანართის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

გ. ორი ფოტოსურათი, ზომით 3X4 და მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტ-დისკზე;

დ.სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისთვის);

ე. დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა (სპეციალური ფორმა).

ვ. უცხო ქვეყანაში მიღებული განთლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**(შეტანილია დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 11 ივნისის №60 დადგენილებით)**;

ზ. სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო თემის დასახელება და მეცნიერ-ხელმძღვანელის თანხმობა**(შეტანილია დამატება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 11 ივნისის №60 დადგენილებით)**;

2.3. დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაციაიწარმოებს სპეციალურ ჟურნალში, სადაც ფიქსირდება დოქტორანტობის კანდიდატის სახელი და გვარი, სასურველი სადოქტორო პროგრამა და ფაკულტეტი, წარმოდგენილი საბუთების ჩამონათვალი, დოქტორანტობის კანდიდატისა და რეგისტრაციაზე პასუხისმგებელი პირის ხელმოწერები, რეგისტრაციის თარიღი.

2.4. რეგისტრაციის ვადის ამოწურვის შემდეგ, შემოსული განცხადებების მიხედვით, შესაბამისი ფაკულტეტი უზრუნველყოფს საგამოცდო უწყისების მომზადებას.

3. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდა/გასაუბრება

3.1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო განსაზღვრავს სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალს, მისაღებ კონტინგენტს და თითოეულ პროგრამაზე მისაღებ გამოცდას/გასაუბრებას სპეციალობასა და უცხო ენაში.

3.2. უცხო ენის გამოცდა (ინგლისური ენა, ფრანგული ენა, გერმანული ენა, რუსული ენა) ჩატარდება B2 დონის მოთხოვნების შესაბამისად**(შეტანილია ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 11 ივნისის №60 დადგენილებით)**;

3.3.კონკურსის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სპეციალობის გამოცდის/გასაუბრების შედეგს.

3.4. ფაკულტეტი ვალდებულია დოქტორანტურის ცალკეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის უნივერისტეტის ვებ-გვერდზე გამოაქვეყნოს დოქტორანტურაში მისაღები გამოცდ(ებ)ის/გასაუბრების თემატიკა.

3.5. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდა/გასაუბრება ტარდება ზეპირი/წერილობითი (ტესტური ან კომბინირებული) ფორმით. პასუხის მაქსიმალური შეფასებაა 100 ქულა, ხოლო მინიმალური 51 ქულა. მისაღები გამოცდის ტესტში შეტანილი თითოეული კითხვის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება კითხვების რაოდენობით, ხოლო ზეპირი გამოცდის შემთხვევაში ბილეთში შესატანი საკითხების რაოდენობა განისაზღვრება 5 საკითხით, მაქსიმალური შეფასებით თითოეულზე 20 ქულა. გასაუბრების შემთხვევაში იხ. დანართი №4.

3.6. მისაღები გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფენ დეპარტამენტები და კოორდინირებას უწევს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის სამსახური (შეტანილია ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 23 ივლისის №104 დადგენილებით).

3.7. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების ჩატარების განრიგი მტკიცდება რექტორის ბრძანებით და ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

3.8.მისაღები გამოცდის ბილეთების/ტესტების მომზადების და დოქტორანტობის კანდიდატთა შეფასების მიზნით, ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით, იქმნება საგამოცდო კომისიები (არანაკლებ 3წევრის შემადგენლობით).

3.9. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის/გასაუბრების შედეგები აისახება გამოცდის შეფასების უწყისში (დანართი 2); ზეპირი გამოცდის/გასაუბრების შემთხვევაში საბოლოო შეფასება კომისიის წევრთა შეფასების საშუალო არითმეტიკულია;შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე; გამოცდის/გასაუბრების შეფასების უწყისის შევსებაზე პასუხისმგებელია საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე.

4. საპრეტენზიო საბჭო

4.1. გამოცდებთან დაკავშირებული პრეტენზიების განხილვის მიზნით უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით იქმნება საპრეტენზიო საბჭო 5 წევრის შემადგენლობით. საპრეტენზიო საბჭოს შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს რომელიმე საგამოცდო კომისიის წევრი.

4.2. საპრეტენზიო საბჭოსხელმძღვანელობს საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარე. საპრეტენზიო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს დამსწრეთა უმრავლესობით.

4.3. საპრეტენზიო საბჭოს მუშაობის შედეგები და გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელიც დასტურდება საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერით.

4.4. საპრეტენზიო სამჭოს მდივნის არყოფნის შემთხვევაში, მის ფუნქციებს საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარის დავალებით ასრულებს საპრეტენზიო საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

5. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის /გასაუბრების შედეგების გასაჩივრება

5.1. დოქტორანტობის კანდიდატს უფლება აქვს დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის/გასაუბრების შედეგების გასაჩივრების მიზნით მიმართოს საპრეტენზიო საბჭოს განცხადებით, მისაღები გამოცდის შედეგების გამოქვეყნებიდან 3დღის ვადაში;

5.2. დოქტორანტობის კანდიდატის საპრეტენზიო განცხადებაში მითითებული უნდა იყოს საგამოცდო დავალების ნომერი, რომლის თაობაზეც წარდგენილია პრეტენზიადა დაფიქსირდეს პრეტენზიის კონკრეტული მიზეზი.

5.3. საპრეტენზიო საბჭოგანიხილავს მხოლოდ იმ დავალების შეფასების სისწორეს, რომელიც მითითებული იყო საპრეტენზიო განცხადებაში. საპრეტენზიო განცხადებაში დავალების ნომრის (ან პრეტენზიის კონკრეტული მიზეზის) დაუფიქსირებლობის შემთხვევაში, პრეტენზია არ განიხილება. საპრეტენზიო საბჭოს უფლება აქვს შეფასების ობიექტურობის/არაობიექტურობის დადგენის მიზნით მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტ(ებ)ი.

5.4. დოქტორანტობის კანდიდატისთვის გამოცდის/გასაუბრების შედეგის შეცვლის ან ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს საპრეტენზიო საბჭო.

5.5. საპრეტენზიო განცხადების განხილვა და განხილვის შედეგების გაცნობა დოქტორანტობის კანდიდატისთვის ხდება რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში.

5.6. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის შედეგის შეცვლის შემთხვევაში შესაბამისი გამოცდის შეფასების უწყისში დოქტორანტობის კანდიდატის გვარის გასწვრივ კეთდება ჩანაწერი "შესწორებულია Xქულა", უწყისის ბოლოს კი ფიქსირდება საპრეტენზიო საბჭოს თავმჯდომარის ხელწერა, ამასთან საგამოცდო უწყისს უნდა დაერთოს საპრეტენზიო საბჭოს გადაწყვეტილება (ამონაწერი შესაბამისი ოქმიდან) გამოცდის შედეგის შეცვლის შესახებ.

5.7. საპრეტენზიო განცხადების განხილვის ვადის ამოწურვისთანავე დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების შედეგები ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

6. დოქტორანტურაში ჩარიცხვა

6.1. ფაკულტეტები დადგენილ ვადაში რექტორს წარუდგენენ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე დოქტორანტობის კანდიდატთა სიას და უზრუნველყოფენამ დოქტორანტებთან ხელშეკრულების გაფორმებას.

6.2. დოქტორანტობის კანდიდატთა უნივერსიტეტში ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მიეწოდება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

დანართი 1
(შეტანილია ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 11 ივნისის №60 დადგენილებით);

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა

1. კანდიდატის პირადი მონაცემები	
სახელი	
გვარი	
სქესი	
დაბადების ადგილი, თარიღი (რიცხვი/თვე/წელი)	
ეროვნება	
მოქალაქეობა	
ოჯახური მდგომარეობა	
პირადი ნომერი	
ფაქტობრივი მისამართი	
რეგისტრაციის მისამართი	
ელ-ფოსტა	
ტელ. ნომერი (სახლი)	
ტელ. ნომერი (სამსახური)	
ტელ. ნომერი (მობილური)	
დასაქმების სფერო (ორგანიზაციის დასახელების, წლების მითითებით)	
სპეციალობა	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	
სწავლის პერიოდი	
მინიჭებული ხარისხი	
უცხო ენა	
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (პუბლიკაცია, კონფერენცია, სიმპოზიუმი)	
სხვა ინფორმაცია	

2. ფაკულტეტი (გთხოვთ, მიუთითოთ თქვენთვის სასურველი ფაკულტეტი)	
1	ტექნოლოგიური ფაკულტეტი
2	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი
3	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
4	ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
5.	განათლების ფაკულტეტი
6.	ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

3. **სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალი** (გთხოვთ, მიუთითოთ თქვენთვის სასურველი პროგრამა)	
1. აგრო ეკოლოგია, მცენარეთა დაცვა	9.ისტორია
2. სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა	10. ბიოლოგია
3. ბიზნესის ადმინისტრირება	11. ბიოორგანული ქიმია
4. ეკონომიკა	12. გეომეტრია-ტოპოლოგია
5. ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	13.თანამედროვე ალგებრა (ნახევარჯგუფები
6. ლინგვისტიკა	14.ფიზიკა
7. ლიტერატურათმცოდნეობა	15. განათლება
8.არქეოლოგია	

4. რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი		
1	მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის და დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;	
2	პირადობის მოწმობის ასლი;	
3	2 ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე და მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტ–დისკზე;	
4	სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის).	
5	სადისერტაციო ნაშრომის სავარაუდო თემის დასახელება და მეცნიერ ხელმძღვანელი	
6	უცხო ქვეყანაში მიღებული განთლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);	
7	სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა;	

ვადასტურებ სააპლიკაციო ფორმაში მოცემული ინფორმაციის სისწორეს. გთხოვთ, განიხილოთ ჩემი კანდიდატურა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ..... ფაკულტეტის ..... სადოქტორო პროგრამაზე მისაღებ გამოცდებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.
სახელი და გვარი (სრულად) .....
ხელმოწერა ..... თარიღი

დანართი 2

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დოქტორანტურაში მისაღები გამოცდის შეფასების უწყისი №

”-----” -------2012 წ.

ფაკულტეტი – _____

სადოქტორო პროგრამა _____

საგამოცდო საგანი _____

№	დოქტორანტობის კანდიდატის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	შეფასება	
			ქულა	სიტყვიერად
1				
2				
3				
4				
5				

საგამოცდო კომისიის შემადგენლობა

№	სახელი, გვარი	აკადემიური თანამდებობა	ხელმოწერა	
1			თავმჯდომარე	
2			წევრი	
3			წევრი	
4			წევრი	
5			წევრი	

ფაკულტეტის დეკანი _____ (ბ. ა.)

დანართი 3

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზეპირ გამოცდაში საგამოცდო კომისიის წევრის დოქტორანტობის კანდიდატის შეფასების ფორმა

”-----” -------2012 წ.
ფაკულტეტი ----------
სადოქტორო პროგრამა ----------
დოქტორანტობის კანდიდატის (სახელი, გვარი) ----------

საგამოცდო საგანი ----------
კომისიის წევრის სახელი და გვარი, აკადემიური თანამდებობა ----------
---

საკითხების ჩამონათვალის რიგითობა	**ქულა**
1 საკითხი	
2 საკითხი	
3 საკითხი	
4 საკითხი	
5 საკითხი	
საბოლოო შეფასება	
ქულა	**სიტყვიერად**

საგამოცდო კომისიის წევრის ხელმოწერა:

დანართი 4

სადოქტორო პროგრამაზე მიღების გასაუბრების ფორმა

”-----” -------2012 წ.
ფაკულტეტი ----------
სადოქტორო პროგრამა ----------
დოქტორანტობის კანდიდატის (სახელი, გვარი) ----------

კომისიის წევრის სახელი და გვარი, აკადემიური თანამდებობა ----------
---

№	დოქტორანტობის კანდიდატის სახელი, გვარი	აკადემიური/პროფესიული მიღწევები - 20	არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია - 40	მოტივაცია - 20	სასწავლო პროცესის დაგეგმვის, საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების, კომუნიკაციის უნარი - 20

საგამოცდო კომისიის წევრის ხელმოწერა:

დანართი 5

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საგამოცდო ბილეთი №
საგანი -

1.
2.
3.
4.
5.

დეპარტამენტის სხდომის ოქმის № /თარიღი
პროგრამის ხელმძღვანელი: